საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს

გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების

შესრულების ანგარიში

თბილისი 2015

სარჩევი

I. წინასიტყვაობა	3
II. შესავალი	5
III. საერთო სტატისტიკური მონაცემები	7
IV. სტატისტიკური მონაცემები უწყებების მიხედვით	10
V. მონაცემები უფლებების ჭრილში	16
VI. 2014 წელს გამოვლენილი დადებითი ტენდენციები	17
VII. 2014 წელს გამოვლენილი უარყოფითი ტენდენციები	17
VIII. ზოგადი ტენდენციები	18
IX. კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა	20
X. 2013 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადების მონიტორინგი	22
დანართი 1 - საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები (ჯამური მონაცემები)	26
დანართი 2 - საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები (მონაცემები ადგილობრივი/ცენტრალური ორგანოების მიხედვით)	27
დანართი 3 - საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი	28
დანართი 4 - საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების მაჩვენებელი	29
დანართი 5 - საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შედარებითი ცხრილი (მონაცემები უწყებების მიხედვით, 2013/2014 წწ.)	30
დანართი 6 - საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების ეფექტური მაჩვენებელი	31
დანართი 7 - საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები ძირითადი უფლებების დარღვევის ჭრილში	32

I. წინასიტყვაობა

2014 წლის 31 ივლისს, ხმათა უმრავლესობით, საქართველოს პარლამენტმა ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიშზე დაყრდნობით მომზადებულ დადგენილებას მხარი დაუჭირა.[1] საქართველოს პარლამენტის დადგენილებით სხვადასხვა უწყებას დაევალა სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულება და განისაზღვრა შესასრულებელი ღონისძიებების ჩამონათვალი. რეკომენდაციების შესრულების ანგარიშს პარლამენტი სამთავრობო უწყებებიდან უკვე 2015 წლის დასაწყისში ჩაიბარებს.

2014 წლის 20-25 იანვარს საქართველოში საქმიანი ვიზიტით თავის გუნდთან ერთად იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისარი **ნილს მუიჟნიეკსი.** ვიზიტის ფარგლებში კომისარმა გამართა შეხვედრები, რომლის დროსაც იმსჯელეს იუსტიციის სისტემაში მართლმსაჯულების აღსრულების, ადამიანის უფლებების დაცვის, ეროვნული უმცირესობების, ტოლერანტობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის საკითხებზე.[2]

2014 წლის 12 მაისს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების დაცვის კომისრის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე:
- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულებების შესწორების შედეგად, როგორც ჩანს, შემცირდა პოლიტიკური ჩარევები აღნიშული უწყების ფუნქციონირებაში, თუმცა, საჭიროა კვლავაც გაგრძელდეს ძალისხმევა ამ სფეროში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.
- საჭიროა უფრო მეტი ძალისხმევა მთავარი პროკურატურის, როგორც სისხლის სამართალის სისტემის ერთ-ერთი საკვანძო უწყების, საქმიანობის ეფექტურობისა და პროფესიონალიზმის ასამაღლებლად. მიუხედავად იმისა, რომ გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით, შეხვედრების მსვლელობისას მრავალჯერ გამოითქვა უკმაყოფილება პროკურატურის ხელმძღვანელობის ხშირ ცვლასთან და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების არასათანადო გამოძიებასთან დაკავშირებით. პროკურორების დანიშვნა, დაწინაურება და კარიერული წინსვლა უნდა განხორციელდეს დამსახურებაზე დაფუძნებული, სამართლიანი და მიუკერძოებელი პროცედურების შესაბამისად, როგორც ეს დადგენილია **ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში სისხლის სამართლის სისტემაში სახელმწიფო ბრალმდებელის როლის თაობაზე.**
- კომისარი კვლავაც ხაზს უსვამს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობაში მხილებულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა სამართლიანი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე სასამართლო პროცესის წარმართვისა და დანაშაულის სერიოზულობის შესაბამისი სასჯელის შეფარდების გზით, ასევე, საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდება აღნიშნული სასამართლო პროცესების მსვლელობასთან დაკავშირებით.

2014 წლის 30 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ.[3]

დადგენილებაში აღნიშნულია:

[1] http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-2013-wlis-adamianis-uflebata-da-tavisuflebata-dacvis-shesaxeb-momzadebul-dadgenilebas-mxari-dauchira.page
[2] https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=2523559&SecMode=1&DocId=2139142&Usage=2
[3] https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2348314

- საქართველოში ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მიღწევები და გამოწვევები ობიექტურად და კომპლექსურად არის ასახული **საქართველოში კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის თომას ჰამარბერგის 2013 წლის ანგარიშში „საქართველო გარდამავალ ეტაპზე“[4].** საქართველოს ხელისუფლება იზიარებს ანგარიშში მოცემულ შეფასებებს და აუცილებლად მიაჩნია მისი რეკომენდაციების შესრულება.
- საქართველოს სახალხო დამცველის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების და ადამიანის უფლებების სფეროში საქართველოში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ თომას ჰამარბერგის ანგარიშის გათვალისწინებით, 2014–2020 წლებისთვის ქვემოთ მოყვანილი ძირითადი მიმართულებები სტრატეგიულ პრიორიტეტებად განისაზღვრა. თუმცა სახელმწიფო ვალდებულია ადამიანის ის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებიც უზრუნველყოს, რომლებიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული სტრატეგიულ პრიორიტეტებად.

2014 წლის 10 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წარმოადგინა „ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“. [5]

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის (ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის) შესახებ შეტყობინებათა რაოდენობა გაიზარდა. შესაბამისად, **გაიზარდა ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის შესახებ სახალხო დამცველის წინადადებათა რაოდენობა.**

საერთაშორისო და ეროვნული ინსტიტუტების მიერ საქართველოს ხელისუფლებისადმი გაცემული როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული, საგნობრივი რეკომენდაციების შესრულება უმნიშვნელოვანესი ელემენტია საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისა და ეფექტური მექანიზმების განმტკიცების პროცესში.

---

[4]http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2013/human_rights_2013/human_rights_report_2013_en.htm
[5] http://ombudsman.ge/uploads/other/2/2148.pdf

II. შესავალი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას.

საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.[6]

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია შემოწმების შედეგების მიხედვით:
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფის, დაკავებულთა, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა პირობებისა და მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების, აგრეთვე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონპროექტებთან დაკავშირებით **წინადადებები, შენიშვნები** და **რეკომენდაციები** წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს ან სხვა შესაბამის ორგანოს;[7]
- ადამიანის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად **წინადადებები** და **რეკომენდაციები** გაუგზავნოს იმ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;
- **წინადადებით** მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით, თუ საქმის განხილვის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები;
- შესაბამის ორგანოებში შეიტანოს **წინადადებები** იმ პირთა დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა;

გარდა ამისა, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის[8] შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი და მინიჭებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის **ზოგად წინადადებებს** დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი რეკომენდაცია/წინადადებას არ გააჩნია შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, **ვალდებულია განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით** აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.

---

[6] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლი.
[7] მიუხედავად ტერმინოლოგიური სხვაობისა, რაც, შესაბამისად, სხვადასხვა შინაარსობრივ დატვირთვას გულისხმობს, საზოგადოებაში დამკვიდრდა საერთო ტერმინი - რეკომენდაცია.
[8] „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ცალსახად არ არის განსაზღვრული, რეკომენდაცია/წინადადების განხილვის შედეგების ცნობა უნდა მოხდეს 20 სამუშაო, თუ კალენდარული დღის ვადაში. ამიტომაც, საქართველოს სახალხო დამცველი ხელმძღვანელობს ვადების ათვლის ზოგადი წესით და სხვადასხვა უწყებიდან მიღებული პასუხების ვადები აითვლება სამუშაო დღეების გათვალისწინებით.

ამდენად, სარეკომენდაციო ბუნების მიუხედავად, რეკომენდაცია/წინადადების განხილვა და კანონით გათვალისწინებულ ვადებში განხილვის შედეგების სახალხო დამცველისათვის წერილობით მიწოდება სავალდებულოა. ამასთან, რეკომენდაცია/წინადადების განხილვის შედეგები სახალხო დამცველს უნდა მიაწოდოს იმ სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელმა, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელმა ან შესაბამისი თანამდებობის პირმა, **რომელსაც უშუალოდ მიმართა სახალხო დამცველმა.**

წინამდებარე ანგარიშში შესულია ყველა ის რეკომენდაცია/წინადადება, რომელიც გაიგზავნა სხვადასხვა უწყებაში 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის პერიოდში.[9]

ანგარიში მოიცავს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სხვადასხვა უწყებისათვის გაგზავნილი რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების არა მხოლოდ სტატისტიკურ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. რეკომენდაცია/წინადადების შესრულების ხარისხობრივი კოეფიციენტის აღნიშვნისას საქართველოს სახალხო დამცველი მსჯელობს ისეთ კრიტერიუმებზე, როგორიც არის შესრულების ვადები, დარღვეული უფლების აღდგენის ფაქტი, განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობა და შედეგი.

[9] 2014 წლის 31 დეკემბრის შემდეგ რეკომენდაცია/წინადადებებზე მიღებული პასუხები აისახება დამატებით.

III. საერთო სტატისტიკური მონაცემები

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული იყო **154 რეკომენდაცია/წინადადება**[10] (დანართი 1), კერძოდ:

რეკომენდაცია	66
წინადადება	85
შენიშვნა	0
მიმართვა	2
ზოგადი წინადადება	1

რეკომენდაცია/წინადადების ადრესატები არიან როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები, თანამდებობის პირები, ასევე - ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები (დანართი 2).

ადრესატები	**რაოდენობა**
ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები	16
ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები	24
სამართალდამცავი ორგანოები	56
საქართველოს სამინისტროები (სამართალდამცავების გარდა)	43
სახელმწიფო სსიპ/ა(ა)იპ/შპს	10
ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოები	3
ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ორგანოები	1
კერძო სამართლის იურიდიული პირები	1

აქვე აღსანიშნავია, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს **ზოგადი წინადადებით** მიმართოს ასევე კერძო სამართლის იურიდიულ პირებსაც.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული 154 რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების მაჩვენებელი შეადგენს:

- შესრულდა 35 რეკომენდაცია/წინადადება - 23 %
- ნაწილობრივ შესრულდა 22 რეკომენდაცია/წინადადება - 14 %
- არ შესრულდა 47 რეკომენდაცია/წინადადება - 31%
- პასუხი არ მოსულა 28 რეკომენდაციაზე/წინადადებაზე - 18 %

(დანართი 3, დანართი 4)

[10] 2013 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული იყო 136 რეკომენდაცია/წინადადება.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით,[11] 2013 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების 48% არ შესრულებულა. კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, ეს რიცხვი ასახავს ასევე პასუხგაუცემელ რეკომენდაცია/წინადადებებს, რომლებიც ასევე შეუსრულებლად ჩაითვალა.

2014 წლის მონაცემების დაჯამებისას, ცალკე აღინიშნა პასუხგაუცემელი რეკომენდაცია/წინადადებები, ვინაიდან საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის" 24-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია განიხილოს ისინი და განხილვის შედეგები 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.

თუკი შეჯამდება 2014 წლის მონაცემები და შეუსრულებელი (31%) და პასუხგაუცემელი (18%) რეკომენდაცია/წინადადებები ერთად იქნება განხილული, ფაქტობრივად, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების 49% არ სრულდება.

ფორმა	შესრულების მაჩვენებელი (ჯამი)	შესრულების % მაჩვენებელი (ჯამი)
შესრულდა	35	23%
არ შესრულდა	47	31%
ნაწილობრივ შესრულდა	22	14%
პასუხი არ მოვიდა	28	18%
არის ვადა პასუხის მისაღებად	22 [12]	14%

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წლის განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების/წინადადებების 12% (სულ 19 რეკომენდაცია/წინადადება) ადრესატმა გადააგზავნა სხვა უწყებაში ან მისივე უწყების სხვა ტერიტორიულ ორგანოში.

სხვა უწყებაში გადამისამართებული რეკომენდაცია/წინადადებებიდან საქართველოს სახალხო დამცველს პასუხი არ მიუღია 2-ზე, არ შესრულდა - 8, შესრულდა - 5, ნაწილობრივ შესრულდა - 4.

რეკომენდაციების/წინადადებების გადამისამართების პრობლემა განხილული იქნება წარმოდგენილი ანგარიშის ტენდენციების თავში.

2013 წელთან შედარებით გაზრდილია 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების საერთო რაოდენობა.

[11] http://www.ombudsman.ge/ge/projects/siaxleebi-proeqtebi/saxalxo-damcvelis-rekomendaciebis-50-procenti-ar-shesrulda.page
[12] 2014 წლის დეკემბერში სულ გაიცა 24 რეკომენდაცია/წინადადება, ანგარიშის მომზადების პერიოდისათვის ჯერ არ გასულა მათზე პასუხის გასაცემად კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შედარებითი ცხრილი (ზოგადი მონაცემები უწყებების მიხედვით) - 2013/2014 წწ.		
	2013	2014
საქართველოს პრეზიდენტს	1	2
საქართველოს პარლამენტს (საკანონმდებლო წინადადებები)	2	7
საქართველოს მთავრობას	4	10
საქართველოს პროკურატურას (მთავარ პროკურორს, მათ შორის - მ/შ)	22	40
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს	16	7
საქართველოს შსს მინისტრს (მათ შორის, თბილისისა და სამხარეო შს სამმართველოებს)	12	14
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს	2	2
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს (მათ შორის, მინისტრის მოადგილეს)	11	16
ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს (მერიას, საკრებულოს, გამგეობას)	12	16

2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების რაოდენობა ერთ კონკრეტულ უწყებაზე ან თანამდებობის პირზე იძლევა საშუალებას, გაანალიზდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ ზოგადი ინფორმაცია და გამოიყოს ის სფერო, სადაც კონცენტრირებულია პრობლემა.

2014 წლის განმავლობაში 10 და მეტი რეკომენდაცია/წინადადება გაიცა შემდეგ უწყებაზე/თანამდებობის პირზე:

უწყება/თანამდებობის პირი	გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა
მთავარ პროკურატურას	40
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს	16
შსს სამინისტროს	10

IV. სტატისტიკური მონაცემები უწყებების მიხედვით

როგორც უკვე აღინიშნა, 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული იქნა 154 რეკომენდაცია/წინადადება. შესაბამისი უწყებების მიხედვით რეკომენდაცია/წინადადებების რაოდენობა შემდეგნაირად არის განაწილებული:

#	საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები (მონაცემები უწყებების მიხედვით) - 2014 წელი	ჯამი - 154
1	ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს" დირექტორს	1
2	აფხაზეთის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს	1
3	აჭარის ა.რ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსს	1
4	აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარეს	1
5	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელს	1
6	ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს	1
7	ბათუმის მერის მ.შ.-ს	1
8	განათლებისა და მეცნიერების მინისტრს	9
9	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს	2
10	ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს	2
11	ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელს	1
12	თავდაცვის მინისტრს	2
13	თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს	1
14	თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერს	1
15	იუსტიციის მინისტრს	1
16	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს	4
17	კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს	2
18	მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს	1
19	მთავარ პროკურატურას	39
20	მთავარი პროკურორის მ.შ.-ს	1

21	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს	1
22	პარლამენტის თავმჯდომარეს	7
23	პრეზიდენტს	2
24	პრემიერ მინისტრს	7
25	პრემიერ მინისტრს; ფინანსთა მინისტრს; პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს; სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას	1
26	ქ. რუსთავის მერი	2
27	ს.ს. საქართველოს ბანკის გენერალურ დირექტორს	1
28	საგარეო საქმეთა მინისტრს	1
29	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილეს	1
30	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს	15
31	საქართველოს მთავრობას	3
32	სოფლის მეურნეობის მინისტრს	1
33	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსს	1
34	სსიპ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს	1
35	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს	4
36	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს	1
37	ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსს	2
38	ქალაქ ქუთაისის მერს	1
39	ქარელის გამგებელს	1
40	ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ.შ.-ს	1
41	ქუთაისის მერის მ.შ.-ს	1
42	შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" დირექტორს	1
43	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრს; სსიპ ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის" დირექტორს	1
44	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს	7

45	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს	1
46	შსს გენერალური ინსპექციის უფროსს	1
47	შსს გურიის სამხარეო სამმართველოს უფროსს	1
48	შსს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების უფროსს	1
49	შსს მინისტრს	10
50	შსს ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილების უფროსს	1
51	წალკის გამგებლის მ.შ.-ს	1
52	წყალტუბოს მუნიციპალიტეტეტის გამგებელს	1

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ის უწყებები, რომლებმაც არ შეასრულეს მათზე გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები:

უწყება/თანამდებობის პირი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია	შეუსრულებელი რეკომენდაციების რაოდენობა
შსს სამინისტრო	10
მთავარი პროკურატურა	8
საქართველოს მთავრობა	5
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	4
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	4
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2
საქართველოს პრეზიდენტი	2
კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი	2
თავდაცვის მინისტრი	2
ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი	2
რუსთავის მერი	2
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	1

შემდეგ ცხრილში ასახულია უწყებები, რომლებმაც პასუხი არ გასცეს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია/წინადადებაზე. ასევე, მოკლედ აღნიშნულია რეკომენდაცია/წინადადებაში ასახული დარღვეული უფლების არსი.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების აბსოლუტური უმრავლესობა, რაზეც სახალხო დამცველს პასუხი არ მიუღია, ეხება გამოძიების დაწყებას სხვადასხვა დარღვევის გამო, კერძოდ, არასათანადო მოპყრობას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას, სამართალდამცავი პირების ქმედებას და სხვა.

უწყება, თანამდებობის პირი	რეკომენდაციის შინაარსი (დარღვეული უფლებები)	რაოდენობა
მთავარი პროკურორი	სამართალდამცავი პირების ქმედება; გამოძიების დაწყება	9
	არასათანადო მოპყრობა; გამოძიების დაწყება	
	არასათანადო მოპყრობა; გამოძიების დაწყება	
	თავისუფლების უკანონო აღკვეთა; გამოძიების დაწყება	
	საკუთრების უფლება; იძულება; გამოძიების დაწყება	
	არასათანადო მოპყრობა; გამოძიების დაწყება	
	არასათანადო მოპყრობა; გამოძიების დაწყება	
	არასათანადო მოპყრობა; პატიმართა უფლებები; მსჯავრდებულის წამება–ცემასთან დაკავშირებით; გამოძიების დაწყება	
	არასათანადო მოპყრობა; გამოძიების დაწყება	

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	მოსამართლის დისციპლინური გადაცდომა; არაკანონიერი განაჩენი	3
	მოსამართლის დისციპლინური გადაცდომა; არაკანონიერი განჩინება	
	სს საქმეზე პროცესუალური დარღვევები; მოსამართლის დისციპლინური გადაცდომა; სამართლიანი სასამართლო	

პარლამენტის თავმჯდომარე	ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილებები; დაცვის უფლების სათანადოდ განხორციელების საკითხი	3
	უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებრივი მდგომარეობა; ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილებები	
	ოჯახში ძალადობა / ქალთა უფლებები; სოციალური საკითხი	

შსს მინისტრი	მიმოსვლის თავისუფლების დარღვევა; სს საქმეზე პროცესუალური დარღვევები	2
	შრომითი უფლება; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევა; სოციალური საკითხი	

პრეზიდენტი	სამართლიანი სასამართლო; სს საქმეზე პროცესუალური დარღვევები; კანონის უკუძალის გავრცელება	1
პრემიერ–მინისტრი	შრომითი უფლება; სოციალური საკითხი	1
საგარეო საქმეთა მინისტრი	საქართველოს მოქალაქე ვ.ი.-ს მიმართ ორმაგი მსჯავრდების შესახებ	1
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი	პატიმართა პირობები; ჯანდაცვის საკითხი; ციხის პირობები; სოციალური საკითხი	1
ქარელის გამგებელი	შრომითი უფლება; სოციალური საკითხი	1
ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი	სოციალური საკითხი; ადმინისტრაციული ორგანოს/საჯარო მოხელის ქმედება; შრომითი უფლება	1
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	სოციალური საკითხი; ჯანდაცვის საკითხი; განათლების უფლება; ბავშვთა უფლებები	1
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი	სოციალური საკითხი; სათანადო საცხოვრებელი/თავშესაფრით უზრუნველყოფა	1
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	სოციალური საკითხი; ბავშვთა უფლებები; განათლების უფლება.	1
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	სოციალური საკითხი; საკუთრების უფლება; ადმინისტრაციული ორგანოს/საჯარო მოხელის ქმედება	1
თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერი	სოციალური საკითხი; სათანადო საცხოვრებელი/თავშესაფრით უზრუნველყოფა	1

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული **რეკომენდაციები შეასრულეს** შემდეგმა უწყებებმა/თანამდებობის პირებმა:

უწყება/თანამდებობის პირი	**რაოდენობა**
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი	4
შსს გურიის სამხარეო სამმართველოს უფროსი	1
შსს ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილების უფროსი	1
მთავარი პროკურორი	15 (არ შესრულდა 8, არ მოვიდა პასუხი 9)
შსს გენერალური ინსპექციის უფროსი	1
შსს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების უფროსი	1
შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" დირექტორი	1
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე	2
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	2
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	3
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1
პრემიერ–მინისტრი	1

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების ეფექტური მაჩვენებელი (დანართი 6):

შედეგები	რაოდენობა	% მაჩვენებელი
შედეგი დადგა (რეკომენდაცია/წინადადება გათვალისწინებულია, მოხდა დარღვეული უფლების აღდგენა)	15	11%
შედეგი არ დადგა (რეკომენდაცია/წინადადება არ არის გათვალისწინებული, არ მოხდა დარღვეული უფლების აღდგენა)	82	63%
შესრულების დაპირება (უწყება/თანამდებობის პირი პასუხში აღნიშნავს, რომ მომავალში გაითვალისწინებს რეკომენდაცია/წინადადებას, მაგ: ბიუჯეტის დაგეგმარებისას)	18	14%
საქმე სასამართლოშია (რეკომენდაცია/წინადადების გაგზავნის პერიოდისათვის საკითხს განიხილავდა სასამართლო)	4	3%
შედეგი ნაწილობრივ დადგა (მოხდა დარღვეული უფლების ნაწილობრივი აღდგენა)	12	9%

V. მონაცემები უფლებების ჭრილში

2014 წელს გაცემული რეკომენდაციების ანალიზის შედეგად გამოვლინდა იმ უფლებათა წრე, რომელთა დარღვევის ფაქტებზეც ყველაზე ხშირად მიმართავდა საქართველოს სახალხო დამცველი სხვადასხვა უწყებას და თანამდებობის პირს. (დანართი 7)

ზოგადი რიცხვები გამოიყურება შემდეგნაირად:

გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები ძირითადი უფლებების დარღვევის ჭრილში	რაოდენობა
სოციალური უფლებები	63
არასათანადო მოპყრობა	29
ჯანდაცვის უფლება; ციხეში არსებული პირობები	3
სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირების მხრიდან უფლებების დარღვევა	4
სამართლიანი სასამართლოს უფლება	5
სს საქმეში პროცესუალური დარღვევები	2

სოციალურ სფეროში გამოვყოფდით შემდეგ საკითხებს:

- სათანადო საცხოვრებლით/თავშესაფრით უზრუნველყოფის უფლებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა საქართველოს რეგიონებში - გაცემული 10 რეკომენდაციიდან ყველა მიმართული იყო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე (ქუთაისის, ფოთის, წყალტუბოს, რუსთავის, ახალქალაქის, ვანის, ზესტაფონის და სხვ. მერიები და საკრებულოები).

- ბავშვის უფლებებთან მიმართებით აქტუალური იყო განათლების მიღების უფლების რეალიზაცია. 2014 წელს აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა 4 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სოციალურად დაუცველ ოჯახებში ბავშვის მიერ განათლების მიღებას.

- განათლების უფლების რეალიცაზიის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს რეგიონებში - 2014 წელს გაცემული 7 რეკომენდაციიდან ყველა ეხებოდა რეგიონებში (ვანის, მესტიის, ახმეტის მუნიციპალიტეტები) არსებულ საჯარო სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში არსებულ მძიმე მდგომარეობას (ინფრასტრუქტურული პრობლემები, დაფინანსების არარსებობა).

2014 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველმა არაერთხელ გააკეთა საჯარო განცხადება და მოუწოდა საქართველოს პროკურატურას მეტი აქტიურობა გამოეჩინა არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან მიმართებით. როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ არ შეასრულა 8 რეკომენდაცია/წინადადება და 9 რეკომენდაცია/წინადადებას პასუხი საერთოდ არ გასცა.

მთავარი პროკურატურის მიერ 15 შესრულებული რეკომენდაციიდან, რომელთა უმრავლესობა გამოძიების დაწყებას ეხებოდა, სახალხო დამცველისათვის დღემდე უცნობია გამოძიების შედეგების შესახებ.

VI. 2014 წელს გამოვლენილი დადებითი ტენდენციები

2014 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველმა 7-ჯერ მიმართა საქართველოს პარლამენტს საქართველოს კანონმდებლობაში სხვადასხვა შინაარსის ცვლილების განხორციელების წინადადებით. თუკი წლის დასაწყისში საქართველოს სახალხო დამცველისათვის ცნობილი არ იყო გაგზავნილი წინადადებების განხილვის შედეგების შესახებ, წლის ბოლოსათვის გამოვლინდა დადებითი ტენდენცია, როდესაც საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტიდან წერილობითი პასუხები მოვიდა არა მხოლოდ წინადადების განხილვის შედეგების, არამედ ასევე, კომიტეტის/კომიტეტების მიერ სხდომის დღის წესრიგში წინადადებებში ასახული საკითხების შეტანის შესახებ.

აღნიშნული უდავოდ დადებით ტენდენციად მიგვაჩნია და ვიმედოვნებთ, რომ ეს პროცესი 2015 წელს კიდევ უფრო ეფექტურად წარიმართება, მით უფრო, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისათვის საქართველოს სახალხო დამცველი შეიმუშავებს მოსაზრებებს აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ და მათ საკანონმდებლო წინადადების სახით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

VII. 2014 წელს გამოვლენილი უარყოფითი ტენდენციები

დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიება

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეებიდან ირკვევა, რომ ხშირად არ ხდება სავარაუდო არაადამიანური მოპყრობის შემთხვევების სწორი კვალიფიკაცია. კერძოდ, გამოძიება იწყება მსუბუქი მუხლით - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების საფუძვლით, მაშინ, როდესაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს წამებისა და დამამცირებელი ან

არაადამიანური მოპყრობის შესაბამის მუხლებს[13]. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაკეთდა არა ერთი საჯარო განცხადება.[14]

ამასთან, კვლავ პრობლემად რჩება ქვემდებარეობის საკითხი[15]. კერძოდ, სამსახურებრივი შემოწმების/გამოძიების ჩატარება იმ სამართალდამცავი ორგანოს მიერ, რომლის წარმომადგენლის მიმართაც არსებობს გადაცდომის/დანაშაულის ჩადენის ვარაუდი. აღნიშნული თავიდანვე ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების მიუკერძოებლობას. ამიტომაც, აუცილებლობას წარმოადგენს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა. ამასთან დაკავშირებით 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა სპეციალური ანგარიში „სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები“[16]. სპეციალურ ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს რეკომენდაცია მისცა, მომზადდეს და განხორციელდეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, რათა შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც აწარმოებს გამოძიებას სამართალდამცავების მიერ (იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლის, ასევე სასჯელაღსრულების ტერიტორიაზე) სიცოცხლის მოსპობის, წამების, არასათანადო და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე.

ქვემდებარეობის საკითხის ხელახალი მოწესრიგების აუცილებლობას ასევე, ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებებზე საგამოძიებო ორგანოებიდან მოსული პასუხების გარკვეული ნაწილი. აღნიშნული პასუხების მიხედვით, გამოძიება წყდება, ვინაიდან მსჯავრდებულები გამოძიების პროცესში დაკითხვისას უარყოფენ დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან მათ მიმართ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტს. ამგვარი შემთხვევების სიმრავლე იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ მსჯავრდებულებში არსებობს უნდობლობისა და შიშის განცდა. ეს კი, თავის მხრივ, ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

VIII. ზოგადი ტენდენციები

1. მომავალზე მითითების ტენდენცია

2014 წლის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უწყებების მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაცია/წინადადებაზე გამოგზავნილი პასუხების გარკვეული რაოდენობა არის ბუნდოვანი, შედეგის მომავალში დადგომაზე მითითებით.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის გარკვეული რაოდენობის რეკომენდაცია/წინადადებაზე სახელმწიფო დაწესებულებებიდან მოსული იყო ამგვარი შინაარსის პასუხები - შედეგის მომავალში დადგომაზე მითითებით. ამიტომაც, 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დარღვეული უფლების ჯეროვანი აღდგენის შემოწმების მიზნით, წერილები

[13] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მ. 144^1, 144^3.

[14] http://www.ombudsman.ge/ge/news/sagangebo-gancxadeba-sasdjelagsrulebis-8-dawesebulebashi-arasatanado-mopyrobis-faqttan-dakavshirebit.page

[15] საქმეში ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (ნო. 25091/07, 26.04.2011, §243), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „იმისთვის, რომ გამოძიება ეფექტიანი იყოს, გამოძიებაზე პასუხისმგებელი და მისი წარმმართველი პირები დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ როგორც სამართლის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ არ უნდა არსებობდეს იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირი მოვლენების მონაწილე პირებთან, არამედ ისინი პრაქტიკულადაც დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ.“

[16] იხ. ანგარიში: http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/saxalxo-damcvelis-specialuri-angarishi-efeqturi-gamodziebis-sakitxebze-2014-weli.page

გააგზავნა ყველა იმ უწყებაში, რომელთა 2013 წლის რეკომენდაციებზე პასუხებშიც მითითებული იყო სამომავლო ღონისძიებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია. უფრო კონკრეტულად, კი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია სოფელ ლამბალოში ახალი სკოლის მშენებლობაზე. ამ საკითხზე 2013 წელს სახალხო დამცველს ეცნობა, რომ 2013 წლის მეოთხე კვარტალში დაიწყებოდა სოფელ ლამბალოში ახალი სკოლის მშენებლობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის სექტემბრის წერილით კი სახალხო დამცველს ეცნობა, რომ ლამბალოს საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა არის 2015 წლის 16 ივლისი.

2014 წლის სექტემბერში საქართველოს სახალხო დამცველმა მიმართა გორის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელმაც 2013 წელს რეკომენდაციაზე პასუხით სახალხო დამცველს აცნობა, რომ მოქალაქე მ.შ-ს თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხი აყვანილი იქნებოდა კონტროლზე და საცხოვრებელი ფართის გამოჩენის შემთხვევაში განხილული იქნებოდა მოქალაქე მ.შ.-ს დაკმაყოფილების საკითხი. სახალხო დამცველის 2014 წლის წერილზე, უზრუნველყოფილი იქნა თუ არა მოქალაქე თავშესაფრით მუნიციპალიტეტის მიერ; ასევე, გათვალისწინებულია თუ არა მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში უსახლკარო მოქალაქეების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი, გორის მუნიციპალიტეტიდან სახალხო დამცველის აპარატში პასუხი არ შემოსულა.

საქართველოს სახალხო დამცველმა 2014 წლის სექტემბერშივე მიმართა თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგებელს 2013 წლის 01 აგვისტოს რეკომენდაციის შესახებ, რომელიც შეეხებოდა თბილისში, ღოღობერიძის ქ. №3-ში (ყოფილი მე-13 საჯარო სკოლის შენობა) მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახთა მდგომარეობას და მათი თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხს. აღნიშნულ რეკომენდაციაზე გამგეობიდან 2013 წლის 12 აგვისტოს წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ არ არსებობდა საჭირო რესურსი მსგავსი საკითხების გადასაწყვეტად. ამავე წერილში აღნიშნული იყო, რომ ნაძალადევის რაიონის გამგეობა თბილისის მერიასთან განიხილავდა მოცემულ პრობლემატურ საკითხს და შეეცდებოდა კანონმდებლობის შესაბამისად მათ გათვალისწინებას. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის სექტემბრის წერილზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობიდან პასუხი არ მოსულა.

2014 წლის სექტემბერში საქართველოს სახალხო დამცველმა თბილისის მერს მიმართა და 2013 წლის მიწურულს საქართველოს მთავრობის ინიციატივით თბილისში, მოსკოვის გამზირზე უსახლკარო ადამიანთათვის დროებით დადგმულ კარვებში მყოფ პირთა სოციალური დაცვის მიზნით, მათ შორის - მათი თავშესაფრით უზრუნველსაყოფად, განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოითხოვა. აღნიშნულ წერილზე სახალხო დამცველს ეცნობა, რომ თბილისის მერია 2015 წლისთვის გეგმავს ლილოს ტერიტორიაზე მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობას.

ბუნებრივია, ვადაში გაწელილი ღონისძიებების განხორციელება არაეფექტურს ხდის დარღვეული უფლების აღდგენის პროცესს.

2. გადამისამართება სხვა უწყებაში

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წლის განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების/წინადადებების შესრულებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა ტენდენცია, როდესაც კონკრეტულ უწყებაზე ან თანამდებობის პირზე გაცემული რეკომენდაცია/წინადადება გადამისამართდება სხვა უწყებაზე/თანამდებობის პირზე.

2014 წელს სულ გადამისამართებულია 19 რეკომენდაცია/წინადადება.
მაგ:
- კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის სახელზე გაცემული რეკომენდაცია
(გაგზავნის თარიღი 23.05.2014, წერილი 01-6/7598) *საქართველოში ოსური კულტურის დაცვის მიზნით გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ოსური სახლის რესტავრაციის თაობაზე.*

პასუხად მივიღეთ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკის ხელმოწერით, ინფორმაცია, რომ სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული წერილი გადაეგზავნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურ დირექტორს დავით ლორთქიფანიძეს. ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორისგან დავით ლორთქიფანიძისგან პასუხი არ მიგვიღია.

გადამისამართებული რეკომენდაციებიდან/წინადადებებიდან მხოლოდ 2 შეთხვევაში მივიღეთ პასუხი დარგობრივი სამინისტროებიდან:

08.01.2014	11/3287	პრემიერ–მინისტრს	დუშეთის რაიონის სოფელ ვეძათხევში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში მოსახლეობისათვის ადეკვატური დახმარების გაწევის უზრუნველყოფა.	რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
25.03.2014	11-12/5670	პრემიერ–მინისტრს	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ტატანისში არსებულ პირობებთან დაკავშირებით	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

IX. კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მეოთხე პრიმა მუხლი ადგენს საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ცნობის საფუძველს. კერძოდ, „სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.“ ამავე კოდექსის 239-ე მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 173-ე მეოთხე პრიმა მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენს სახალხო დამცველი, ხოლო, 208-ე მუხლიდან გამომდინარე, საქმეს განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნა არის მისი ყველა მოთხოვნა, რომელსაც ახორციელებს კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სახალხო დამცველის საქმიანობისა და უფლებამოსილების სამართლებრივ საფუძვლებს, გარდა საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა, ქმნის „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

დასახელებული ორგანული კანონის მე-3 თავი ეთმობა საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებათა ზუსტ ჩამონათვალს. კანონის მე-18 მუხლის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს შემოწმების ჩატარებისას: ა) დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო

ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის, სამხედრო ქვედანაყოფში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში; ბ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს მოსთხოვოს და დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა მიიღოს შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, დოკუმენტი და სხვა მასალა; გ) ნებისმიერ თანამდებობის პირს, მოხელეს, მასთან გათანაბრებულ პირს მოსთხოვოს და მიიღოს წერილობითი ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე; დ) სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით ჩაატაროს საექსპერტო გამოკვლევები ან/და მოამზადოს დასკვნები; მოიწვიოს სპეციალისტები/ექსპერტები საექსპერტო ან /და საკონსულტაციო სამუშაოთა შესასრულებლად; ე) გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებზე მიღებული გადაწყვეტილებებიც კანონიერ ძალაშია შესული.

გარდა ამისა, ორგანული კანონის მე-4 თავი ქმნის საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილების განხორციელების სამართლებრივ გარანტიებს. კერძოდ, კანონის 23-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თანამდებობის თუ იურიდიული პირი ვალდებულია ყოველმხრივ დაეხმაროს საქართველოს სახალხო დამცველს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება საქართველოს სახალხო დამცველს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად. შემოწმების პროცესში ან საქართველოს სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე ის სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის ან იურიდიული პირი, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილება მოწმდება, ან გასაჩივრებულია, ვალდებულია საქართველოს სახალხო დამცველს წარუდგინოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხზე.

ამასთან, მასალა, საბუთი, სხვა ინფორმაცია და ახსნა-განმარტება საქართველოს სახალხო დამცველს უნდა გადაეცეს მოთხოვნის მიღებისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მასალა, საბუთი და სხვა ინფორმაცია მოთხოვნილია წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში საბუთი და სხვა ინფორმაცია საქართველოს სახალხო დამცველს უნდა გადაეცეს 10 დღის ვადაში. სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია განიხილოს ისინი და 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს მათი განხილვის შედეგები.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1 პუნქტი ადგენს, რომ ამ კანონით დადგენილი მოვალეობების შეუსრულებლობა, აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისთვის ნებისმიერი ფორმით დაბრკოლების შექმნა ისჯება კანონით, აისახება საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში და საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდება.

ამრიგად, კანონმდებელი ერთი მხრივ, ადგენს ომბუდსმენის კანონიერი მოთხოვნის საფუძვლებს, მეორე მხრივ, მოთხოვნის ადრესატს უწესებს ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს საქართველოს სახალხო დამცველს უფლებამოსილების განხორციელებაში.

სწორედ ზემოაღნიშნული ნორმატიული ბაზა აძლევს საქართველოს სახალხო დამცველს მისთვის საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებზე შესაბამისი რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას.

2006 წლიდან 2014 წლის დეკემბრამდე საქართველოს სასამართლომ განიხილა ზემოაღნიშნული საფუძვლით სახალხო დამცველის მიერ შედგენილი 30-ზე მეტი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლებიც წლების, სამართალდამრღვევისა და ადმინისტრაციული სახდელის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

2006 წელს შედგა სამართალდარღვევის 6 ოქმი, საიდანაც ფინანსური სანქცია - ჯარიმის გადახდა დაეკისრათ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსსა და რუსთავის მერს;
2007 წელს შედგა სამართალდარღვევის 2 ოქმი და ჯარიმა დაეკისრათ გორის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და რუსთავის №2 მკაცრი და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების დირექტორს.
2008 წელს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 3 ოქმი, რომლიდანაც ჯარიმა დაეკისრათ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჰაუპტვახტის მორიგესა და ჰაუპტვახტის გუშაგს;
2009 წელს შედგა სამართალდარღვევის 4 ოქმი, თუმცა სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილა ომბუდსმენის არც ერთი მოთხოვნა;
2010 წელს შედგენილ იქნა სამართალდარღვევის 2 ოქმი, რომლიდანაც ფინანსური ჯარიმის გადახდა დაეკისრა სს „თელასის" გენერალურ დირექტორს.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დაიწყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება 16 საქმეზე. სასამართლოს განსახილველად გაეგზავნა 4 საქმე. აქედან, სამ საქმეზე სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო და ფინანსური სანქცია დააკისრა: სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხოლო ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელს გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. ამასთან, ერთი საქმე ამჟამად იმყოფება სასამართლო განხილვის პროცესში.

X. 2013 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადების მონიტორინგი

საერთო ჯამში, 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა გააგზავნა 12 წერილი 2013 წლის რეკომენდაცია/წინადადებებში დასმულ საკითხებზე ინფორმაციის მოძიების მიზნით შემდეგი უწყებების ხელმძღვანელებთან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (გაიგზავნა 6 წერილი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა. უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის წერილს პასუხი არ გასცეს თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგებელმა ზაზა გაბუნიამ და გორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა პაპუნა კობერიძემ.

როგორც ვხედავთ, 2013 წლის რეკომენდაცია/წინადადებებში დასმული საკითხები 2014 წელსაც გადაუწყვეტი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში არსებობდა საჯარო უწყებების ერთგვარი დაპირება პრობლემის მოგვარების შესახებ.

ამასთან, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან დროული და ადეკვატური ღონისძიებათა განუხორციელებლობა და ვალდებულის შესრულების დროში გაჭიანურება შესაძლოა უფლების დარღვევას უტოლდებოდეს. ამიტომაც, საქართველოს სახალხო

დამცველის აპარატი, შესაბამისი შედეგის დადგომამდე, გააგრძელებს საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის გამოთხოვასა და მონიტორინგს 2014 წლის რეკომენდაცია/წინადადებების შესრულებაზეც.

საქართველოს სახალხო დამცველმა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში პასუხი არ მიიღო 28 რეკომენდაცია/წინადადებაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 9 უპასუხოდ დარჩენილი რეკომენდაცია/წინადადება, რომელიც გაიგზავნა მთავარი პროკურორის სახელზე და ეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებას.

2014 წლის პასუხგაუცემელი რეკომენდაცია/წინადადებები					
#	გაცემის თარიღი	ნომერი	ადრესატი	საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევა (მუხლები)	თემატიკა
1	20.01.2014	33/04-3/0376-10	ქარელის გამგებელი	30	სოციალური საკითხი
2	20.01.2014	11/3648	პრემიერ–მინისტრი	31; პრეამბულა (სოციალური სახელმწიფოს პრინციპი)	სოციალური საკითხი
3	28.01.2014	04-8/3954	მთავარ პროკურორი	18 (1, 2)	სამართალდამცავი პირების ქმედება
4	28.01.2014	03-2/3953	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი	37 (3)	ჯანდაცვის საკითხი; ციხის პირობები; სოციალური საკითხი
5	31.03.2014	04-12/5810	პრეზიდენტი	42 (4, 5);	სამართლიანი სასამართლო
6	06.05.2014	04-6/6994	მთავარი პროკურორი	17 (3)	არასათანადო მოპყრობა
7	06.05.2014	04-12/6995	შსს მინისტრი	22	მიმოსვლის თავისუფლების დარღვევა
8	07.05.2014	03-2/7038	მთავარი პროკურორი	17 (2,3)	არასათანადო მოპყრობა
9	13.05.2014	04-12/7143	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	42	არაკანონიერი განაჩენი
10	13.05.2014	04-12/7144	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	20; 42	არაკანონიერი განჩინება

11	13.05.2014	04-12/7148	მთავარი პროკურორი	18 (1, 2, 3)	თავისუფლების უკანონო აღკვეთა
12	30.05.2014	04-12/7710	მთავარი პროკურორი	17 (3); 21 (1, 3)	საკუთრების უფლება; იძულება
13	17.06.2014	08/8314	ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი	14; 30 (1)	სოციალური საკითხი
14	09.07.2014	01-5/8984	პარლამენტის თავმჯდომარე	42	დაცვის უფლების სათანადოდ განხორციელების საკითხი
15	28.07.2014	11-3/9779	საგარეო საქმეთა მინისტრი	13 (1); 42 (4)	ორმაგი მსჯავრის აკრძალვის საკითხი
16	01.08.2014	04-8/9982	პარლამენტის თავმჯდომარე	42	უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებრივი მდგომარეობა
17	22.08.2014	10/10900	მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	35 (3); 37 (3)	სოციალური საკითხი; ჯანდაცვის საკითხი
18	21.10.2014	08/12695	პარლამენტის თავმჯდომარე	14, 15 (1)	სოციალური საკითხი
19	05.11.2014	10-2/13178	განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	35	სოციალური საკითხი
20	11.11.2014	04-3/13407	შსს მინისტრი	30	სოციალური საკითხი
21	17.11.2014	11-4/13467	თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერი	17 (1); 31; პრეამბულა (სოციალური სახელმწიფოს პრინციპი);	სოციალური საკითხი
22	17.11.2014	11-2/13468	მთავარი პროკურორი	15; 17 (2)	არასათანადო მოპყრობა
23	17.11.2014	11-12/13470	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი	17 (1); 31; პრეამბულა (სოციალური სახელმწიფოს პრინციპი);	სოციალური საკითხი
24	17.11.2014	04-8/13511	მთავარი პროკურორი	15; 17 (2)	არასათანადო მოპყრობა
25	18.11.2014	04-18/13549	მთავარი პროკურორი	15; 17 (2)	არასათანადო მოპყრობა

26	19.11.2014	04-12/13601	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	42	სამართლიანი სასამართლო
27	11.11.2014	251/04-15/0854-12	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	21	სოციალური საკითხი
28	04.12.2014	11-3/14053	მთავარი პროკურორი	17	არასათანადო მოპყრობა

დანართი # 1

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები

2014 წელს გაცემული იყო 154 რეკომენდაცია/წინადადება, კერძოდ:

- რეკომენდაცია - 66
- წინადადება - 85
- შენიშვნა - 0
- მიმართვა - 2
- ზოგადი წინადადება - 1



დანართი 2

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები (მონაცემები ადგილობრივი/ცენტრალური ორგანოების მიხედვით)

2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები



ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები	ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები	სამართალდამცავი ორგანოები	საქართველოს სამინისტროები (სამართალდამცავ ების გარდა)	სახელმწიფო სსიპ/ა(ა)იპ/შპს	ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოები	ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ორგანოები	კერძო სამართლის იურიდიული პირები
16	24	56	43	10	3	1	1

დანართი 3
საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი (ჯამური მონაცემები)



დანართი 4
საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების მაჩვენებელი (ჯამური მონაცემები)



დანართი 5
საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შედარებითი ცხრილი (მონაცემები უწყებების მიხედვით) - 2013/2014 წწ.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შედარებითი ცხრილი (მონაცემები უწყებების მიხედვით) - 2013/2014 წწ.



	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	საქართველოს პრეზიდენტი	საქართველოს პარლამენტი (პარლამენტის თავმჯდომარეს)	საქართველოს მთავრობა	პრემიერ მინისტრს	საქართველოს პროკურატურა (მთავარ პროკურორს, მათ შორის მ/შ)	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შსს მინისტრს (მათ შორის თბილისის და სამხარეო შს სამმართველოები)	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს (მათ შორის მინისტრის მოადგილეს)	ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები (მერია, საკრებულო, გამგეობა)
2013	1	2	4		22	16	12	2	11	12
2014	2	7	3	7	40	7	14	2	16	16

დანართი 6

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების შესრულების ეფექტური მაჩვენებელი:



დანართი 7
საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2014 წელს გაცემული რეკომენდაცია/წინადადებები ძირითადი უფლებების დარღვევის ჭრილში